ხელშეკრულება №4
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი

1 თებერვალი 2016 წელი

ერთის მხრივ,ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრი ს/კ:417886531 (შემდგომში- „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის სპარტაკ წიქარიძის სახით და მეორეს მხრივ ინდ.მეწარმე კარინე ბერძენიშვილი ს/კ:59001001647 (შემდგომში- „მიმწოდებელი") ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია:ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრის 2016წლის ბიუჯეტის სახსრებით ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალების და სხვადასხვა საკანცელარიო ნივთების **(CPV-22800000)**, საოფისე მანქანების, კომპიუტერების, პრინტერების და ავეჯის გარდა **(CPV-30100000)**, კომპიუტერული მოწყობილობების და მარაგის **(CPV-302000000)**, აკუმულატორების, პირველადი ელემენტების და პირველადი ბატარიების **(CPV-31400000)** შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2 შესყიდვის ობიექტი

2.1.შესყიდვის ობიექტია: სარეგისტრაციო ჟურნალები(CPV-22810000), წებოვნი ფურცლები (CPV-22816300),ჩასანიშნი ფურცლები (CPV-22832000), ბაინდერები (CPV-22851000),ფაილები (CPV-22852100), ფაილების ჩასადები (CPV-22853000), საკანცელარიო ურნა (CPV-30100000)სტეპლერის ტყვიები (CPV-30124400), კალამი(CPV-30192122),მარკერი (CPV-30192125), კორექტორი (CPV-30192160),ქაღალდის სკრეპები (CPV-30197220), სტეპლერი (CPV-30197320), ანტისტეპლერი (CPV-30197321), კონვერტები (CPV-30199230), ფლეშმეხსიერება (CPV-30234600), ელემენტები (CPV-31410000).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
3.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი შეადგენს:

საქონლის დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
სარეგისტრაციო ჟურნალი	ცალი	7	1	7
წებოვანი ფურცლები№39853	ცალი	3	2.49	7.47
ჩასანიშნი ფურცლები(წებოვნის გარეშე)80X80	ცალი	5	1.39	6.95
ბაინდერები	ცალი	10	3	30
ფაილების ჩასადები PENSAN 303	ცალი	5	2	10
ფაილები 30მკ.	შეკვრა	5	3.25	16.25
სტეპლერის ტყვიები 24/6	შეკვრა	5	0.39	1.95
მარკერი (ქაღალდის)	ცალი	3	0.80	2.40

კორექტორი-კალამი	ცალი	3	0.69	2.07
ქაღალდის სკრეპები№AZ-02	შეკვრა	5	0.45	2.25
სტეპლერი 24/6	ცალი	2	2.47	4.94
ანტისტეპლერი №0231	ცალი	2	0.85	1.70
საკანცელარიო ურნა	ცალი	2	5	10
კალამი(50-იანი)	შეკვრა	1	0.20	10
ელემენტები	ცალი	10	0.25	2.50
ფლეშ-მეხსიერება(SONY)8 GB	ცალი	12	14	168
ფლეშ-მეხსიერება(SONY) 16 GB	ცალი	4	20	80
კონვერტები	ცალი	10	0.10	1

3.3.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – **364.48 (სამას სამოცდაოთხი** და ორმოცდარვა)ლარს, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 1 კალენდარულ დღეში.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **გორი, წერეთლის ქ. №37.**
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მიწოდების შემდგომ მოხდება 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს მოეთხოვება მიყენებული ზიანის პროპორციული ოდენობის ფარგლებში ზიანის ანაზღაურება, მაგრამ არანაკლებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ისა.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 11 მარტამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს-ლევან ქობლიანიძე, გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის უფროსი.
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ორი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>დამკვეთი</u>	<u>შემსრულებელი</u>
ააიპ გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრი	ინდ.მეწარმე კარინე ბერძენიშვილი
ს/კ 417886531	ს/კ:59001001647
მის:1400 გორი, წერეთლის№37	მის:1400 გორი,სტალინის№18
სს ლიბერთი ბანკი	ბანკი: სს ლიბერთი ბანკი
კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი:LBRTGE22
ა/№ GE59LB0115141435445001	ა/ ნ:GE08LB0112146218528000
ხელმოწერა დირექტორი სპარტაკო ქარიძე	ხელმოწერა ინდ.მეწარმე კარინე ბერძენიშვილი